

შპს ჯეოსტავ GEOSTAV
2019 წლის ფინანსური ანგარიშგება

ს ა რ ჟ ე ვ ი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა	- 3
შპს ჯეოსტავ GEOSTAV-ის 2019 წლის ფინანსური ანგარიშგება:	
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	- 4
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	- 5
საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	- 6
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	- 7
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	- 8

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ განხორციელებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და კაპიტალის ცვლილებას 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის, ასევე სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და განმარტებით შენიშვნებს მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს სტანდარტი) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:


- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც გარემოებები ამას შეუძლებელს ხდის.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ეფექტიანი და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ასევე ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- საწარმოს აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშო პერიოდისთვის დადასტურებულია ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწერილია .

დირექტორი

 თეიმურაზ გვაჩია

თეიმურაზ გვაჩია

მთ. ბუღალტერი

 თამარ გვაჩია

თამარ გვაჩია

				ერთეული:1GEL
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება		2019	2018	2017
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	3.1	33,164	51,058	37,594
		33,164	51,058	37,594
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	3.2	196,241	193,114	37,357
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	3.3	71,965	63,697	83,565
საგადასახადო აქტივები		12,503	5,346	7,585
მარაგები	3.4	165,615	167,841	136,919
		446,324	429,998	265,426
მთლიანი აქტივები		479,488	481,056	303,020
მთლიანი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		40,000	40,000	40,000
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		55,333	117,784	106,792
		95,333	157,784	146,792
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხი	3.5	219,128	-	-
		219,128		
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები	3.5	132,933	296,857	124,125
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		27,820	26,415	32,103
გადასახდელი პროცენტი		4,274	-	-
გადასახდელი დივიდენდი		-	-	-
		165,027	323,272	156,228
მთლიანი ვალდებულებები		384,155	323,272	156,228
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		479,488	481,056	303,020

მოგებისა და ზარალის ანგარიშგება	Note	12/31/2019	12/31/2018
ამონაგები		2,086,552	2,037,354
თვითღირებულება		(1,545,477)	(1,467,581)
საერთო მოგება		541,075	569,773
სხვა შემოსავლები		4,953	5,064
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	3.7	(385,204)	(355,650)
მიწოდების დანახარჯები	3.8	(163,940)	(122,669)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა		(5,470)	-
სხვა ხარჯები		(19,281)	(50,492)
საოპერაციო მოგება		(27,867)	46,027
ფინანსური ხარჯი		(34,584)	(35,035)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(34,584)	(35,035)
მოგება დაბეგვრამდე		(62,451)	10,992
მოგების გადასახადი		-	-
პერიოდის მოგება		(62,451)	10,992
სხვა სრული შემოსავალი:			
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი		(62,451)	10,992

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	სააქციო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	მთლიანი კაპიტალი
ერთეული:1GEL			
2017 წლის 31 დეკემბერი	40,000	106,792	146,792
მოგება წლის ბოლოს	-	10,992	10,992
სხვა სრული შემოსავალი	-		-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	10,992	10,992
2018 წლის 31 დეკემბერი	40,000	117,784	157,784
მოგება/(ზარალი) წლის ბოლოს	-	(62,451)	(62,451)
სხვა სრული შემოსავალი	-		-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	-
2019 წლის 31 დეკემბერი	40,000	55,333	95,333

ფულადი ნაკადების ანგარიშგება		12/31/2019	12/31/2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წმინდა მოგება		(62,451)	10,992
კორექტირებები არაფულადი შემოსავლებისთვის და ხარჯებისთვის:		47,853	64,167
- გადასახადები			-
- ცვეთა		7,798	7,421
- სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ზარალი		-	21,080
- მარაგების გაუფასურება		-	631
- (შემოსულობა)/ზარალი სავალუტო კურსთაშორისი სხვაობიდან		5,471	-
- წმინდა ფინანსური ხარჯი		34,584	35,035
ცვლილებები სამუშაო კაპიტალში		(7,474)	(36,213)
- სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები		(3,949)	(1,211)
- მარაგები		2,226	(31,553)
- სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		1,405	(5,688)
- სხვა საგადასახადო ვალდებულებები		(7,156)	2,239
ოპერაციებიდან წარმოქმნილი ფულადი სახსრები		(22,072)	38,946
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		(22,072)	38,946
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
- ძირითადი საშუალებების შეძენა		(459)	(20,885)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(459)	(20,885)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
- სასესხო ვალდებულების ზრდა		1,161,000	1,745,294
- სასესხო ვალდებულებების დაფარვა		(1,135,341)	(1,607,598)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		25,659	137,697
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის ზრდა (კლება)		3,127	155,757
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენტების საწყისი ბალანსი		193,114	37,357
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის საბოლოო ბალანსი		196,241	193,114

2019 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. წინამდებარე 2019 წლის ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია შპს ჯეოსტავ GEOSTAV-ის (შემდგომში - საწარმო) მიერ. საწარმო დარეგისტრებულია 28 იანვარი 2014 წ. ქ. თბილისის სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ. მისი რეგისტრაცია მოხდა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისის, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, გლდანი, III მ/რ, კორ. №83, ბ. №12. მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო კოდი # 400110330. საწარმო დარეგისტრებულია დღეის გადამხდელად.

1.2. საწარმოს წესდებით, საზოგადოების საწესდებო კაპიტალი შეადგენს (40 000 ლარს). რომელიც განაწილებულია წილების პროპორციულად შემდეგნაირად :

- თეიმურაზ ფაცაცია (პ.ნ 62004001286) -24 000 ლარი (60%);
- კახაბერ ლოლაძე (პ.ნ 62001035625) – 16 000 ლარი (40%);

1.3. საწარმოს ხელმძღვანელი ორგანოებია:

ა) დირექტორი.

წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი:

დირექტორი - თეიმურაზ ფაცაცია (პ.ნ 62004001286).

1.4. საწარმოს ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა :დისტრიბუცია და საცალო ვაჭრობა პურით, ნამცხვრეულით, ფქვილეულის და საკონდიტრო ნაწარმით, საცალო ვაჭრობა საკვები პროდუქტებით, საბითუმო ვაჭრობა კვების პროდუქტებით, საცალო ვაჭრობა პურით, ნამცხვრებით, ფქვილოვანი და შაქრიანი საკონდიტრო ნაწარმით სპეციალიზებულ მაღაზიებში, საბითუმო ვაჭრობა პურით და პურფუნთუშეული ნაწარმით, საბითუმო ვაჭრობა შოკოლადით და შაქრიანი საკონდიტრო ნაწარმით.

წესდების მიხედვით, სამეურნეო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

1.5. საწარმოს არ ჰყავს შვილობილი და მეკავშირე საწარმოები. მისთვის ურთიერთდაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენს ყველა ის პირი, რომელიც იმყოფება საწარმოს ხელმძღვანელი პირების კონტროლის ან მნიშვნელოვანი ზეგავლენის ქვეშ, კერძოდ:

ნინო ლოლაძე პ.ნ 62001004150

აღნიშნული პირებიდან, საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში საწარმოს სამეურნეო ოპერაციები განხორციელებული აქვს მხოლოდ ნინო ლოლაძე პ.ნ 62001004150 -სთან.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად, შპს ჯეოსტავ GEOSTAV -ს როგორც იურიდიული პირს, კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე, აქვს მე-3 კატეგორიის საწარმოს სტატუსი , შესაბამისად ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება 2019 წლიდან წარმოებს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ მიღებული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს სტანდარტი) მიხედვით და ამავე კანონის მიხედვით გათვალისწინებული შეღავათების გამოყენებით.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს სტანდარტი) , შესაბამისობით მომზადება მენეჯმენტისგან ითხოვს დაშვებების, შეფასებებისა და მოსაზრებების გამოთქმას, რომლებიც მოქმედებენ ფინანსური აღრიცხვის პოლიტიკების გამოყენებასა და აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლისა და ხარჯების, ასევე პირობითი აქტივებისა და პირობითი ვალდებულებების თანხებზე. შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია „მსს ფასს“-ების ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ საწარმოს მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი 1 წლის განმავლობაში საწარმო შეწყვეტს ფუნქციონირებას ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, საწარმოს 2019 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. საწარმოს მიერ 2019-2018-2017 წლებში ფაქტობრივად გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა შემდეგია:

1) საწარმოს ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ების შესაბამისად.

2) საანგარიშგებო წელი ემთხვევა კალენდარულ წელს.

3) საწარმოს ფინანსური ანგარიშგება მოიცავს: ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებას, ფულადი ნაკადების ანგარიშგებას და განმარტებით შენიშვნებს. მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება დგება ხარჯების კლასიფიკაციით ფუნქციური დანიშნულების მიხედვით, ხოლო ფულადი ნაკადების ანგარიშგება - არაპირდაპირი მეთოდით.

4) საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით.

5) მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით.

6) მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

7) ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება: მანქანა-დანადგარებისა და მოწყობილობებისათვის - თვითღირებულების მოდელი, სხვა ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივებისათვის - თვითღირებულების მოდელი.

8) ძირითადი საშუალებების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ წლიდან, როცა დაიწყო ძირითადი საშუალების ექსპლუატაცია. პირველ წელს აიღება შესაბამისი ჯგუფის ცვეთისთვის დადგენილი წლიური ნორმის მიხედვით.

10) ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური ნორმის მიხედვით:

სატრანსპორტო საშუალებები -10 წელი;

ავეჯი და ინვენტარი -5-10 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 15 წელი.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები,

რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.5. საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის საწარმოს ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი საწარმოს ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1 ძირითადი საშუალებები შედგება შემდეგი ჯგუფებისგან :

	ავტომობილები	სხვა	სულ
ღირებულება 01.01.2019	36,115	31,248	67,364
შესყიდვები	-	459	459
გაყიდვები	(11,950)	-	(11,950)
ღირებულება 31.12.2019	36,115	31,707	55,873
დაგროვილი ცვეთა 01.01.2019	(7,829)	(8,477)	(16,305)
ცვეთის ხარჯი	(3,235)	(4,563)	(7,798)
გაყიდვა	1,394	-	1,394
დაგროვილი ცვეთა 31.12.2019	(9,670)	(13,040)	(22,709)
წმინდა ღირებულება 01.01.2019	28,286	22,772	51,058
წმინდა ღირებულება 31.12.2019	26,445	18,668	33,163

	ავტომობილები	სხვა	სულ
ღირებულება 01.01.2018	24,165	22,313	46,478
შესყიდვები	11,950	8,935	20,885
გაყიდვები	-	-	-
ღირებულება 31.12.2018	36,115	31,248	67,364
დაგროვილი ცვეთა 01.01.2018	(5,048)	(3,836)	(8,884)
ცვეთის ხარჯი	(2,781)	(4,641)	(7,421)
დაგროვილი ცვეთა 31.12.2018	(7,829)	(8,477)	(16,305)
წმინდა ღირებულება 01.01.2018	19,117	18,477	37,594
წმინდა ღირებულება 31.12.2018	28,286	22,772	51,058

3.2

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	2019	2018	2017
ნაღდი ფული და მოთხოვნამდე ანგარიშები	196,241	193,114	37,357
სულ	196,241	193,114	37,357

3.3

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2019	2018	2017
სავაჭრო მოთხოვნები	156,404	147,394	157,805
გადახდილი ავანსები	3,536	7,577	2,875
მოთხოვნა დაკავშირებული მხარეებისადმი	37,860	34,560	27,640
სულ	197,800	189,531	188,320
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	(125,834)	(125,834)	(104,754)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები - ნეტო	71,965	63,697	83,565

3.4

მარაგები	2019	2018	2017
სასაქონლო მარაგები	167,345.20	169,150.86	138,320.18
სხვა	1,696	2,116	1,393
გაუფასურების რეზერვი	(3,425)	-3,425	(2,794)
სულ	165,615	167,841	136,919

3.5

სესხები			
	2019	2018	2017
მოკლევადიანი			
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	66,933	-	-
დაკავშირებული მხარისგან მიღებული სესხები	66,000	296,857	124,125
	132,933	296,857	124,125
გრძელვადიანი სესხი	219,128		
სულ სესხები	352,061	296,857	124,125

3.6

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები		
	2019	2018
შრომის ანაზღაურება	329,072	325,541
სხვა ხარჯები	56,131	30,109
სულ	385,204	355,650

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებიდან მენეჯმენტის სახელფასო ანაზღაურება 2 ადამიანზე შეადგენს: 2019 წელს 110,233 95 ლარს (2018 წელს 625 ლარს.)

3.7

მიწოდების დანახარჯები		
	2019	2018
საწვავის ხარჯი	87,268	65,272
იჯარა	71,532	48,953
სხვა ხარჯები	5,140	8,444
სულ	163,940	122,669